



# გორის სუღხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია  
სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის  
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის ბრძანებით  
ნ. მანჯავიძე  
დირექტორი  
ბრძანება #3/17  
23.12.2011წ.  
ცვლილება შესულია:  
ბრძანება N1/16  
28.06.2019წ.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სამუსიკო სემინარიის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სამუსიკო სემინარია წარმოადგენს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სსიპ-ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“) წესდებისა და შრომის შინაგანაწესის საფუძველზე შექმნილ ქ. გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო (საშემსრულებლო და სარეპეტიტორო) პრაქტიკის ბაზას, რომელიც ახორციელებს სრულ საშუალო სამუსიკო საგნმანათლებლო პროგრამებს (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე).
- 1.2. სამუსიკო სემინარია თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე.
- 1.3. სამუსიკო სემინარიის მისამართია - 1400, ქ. გორი, სამეფოს ქ. № 17.

### მუხლი 2. სამუსიკო სემინარიის მიზნები და ამოცანები

- 2.1. სამუსიკო სემინარიის მიზნებია: შიდა ქართლის რეგიონის მოზარდების უზრუნველყოფა მაღალპროფესიული სტანდარტების სამუსიკო განათლებით, მათი აღზრდა ქართული და მსოფლიო კლასიკური მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე.
- 2.2 შეასრულოს სამუსიკო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და საწარმოო (საშემსრულებლო და სარეპეტიტორო) პრაქტიკის ბაზის ფუნქცია;
- 2.3. სამუსიკო სემინარიის ამოცანებია:
  - ა) მოიზიდოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე მოზარდები და მისცეს მათ საშუალო სამუსიკო განათლება, რომლის ხანგრძლივობაა 11 წელი;
  - ბ) გამოუმუშავოს მოსწავლეებს საშემსრულებლო კულტურა, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები და უზრუნველყოს მათი სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვა შემდგომი საფეხურის სამუსიკო განათლების მისაღებად.
- 2.4. ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა დაოსტატებასა და პრაქტიკულ საქმიანობას;

### **მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზება**

- 3.1. სამუსიკო სემინარიაში სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სამუსიკო სასწავლებლების სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების საფუძველზე.
- 3.2. სამუსიკო სემინარიის ნებისმიერ კლასში მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.
- 3.3. სამუსიკო სემინარიაში სწავლის დაწყების უფლებით სარგებლობენ 6 წლის ასაკს მიღწეული ბავშვები, რომლებიც კონკურსის გავლის შემთხვევაში, მიიღებენ რეკომენდაციას სემინარიაში სწავლის დაწყებისათვის.
- 3.4. სამუსიკო სემინარიაში ჩარიცხვა წარმოებს მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 3.5. კლასიდან კლასში გადასვლა ხორციელდება სემინარიაში არსებული წესების შესაბამისად.
- 3.6. სამუსიკო სემინარიაში სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი ფორმებია: ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლება.
- 3.7. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის კონტროლის ფორმებია: მიმდინარე გამოკითხვა და პერიოდული - ღია და დახურული კონცერტები, საკონტროლო გაკვეთილები, ჩათვლები და გამოცდები.
- 3.8. სამუსიკო სემინარიის დამთავრებისას გაიცემა სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობა.

### **მუხლი 4. სამუსიკო სემინარიის სტრუქტურა და მართვა**

- 4.1. სამუსიკო სემინარიის ძირითადი სასწავლო ერთეულებია (განყოფილებები):
  - საფორტეპიანო;
  - საორკესტრო საკრავთა;
  - საგუნდო-სადირიჟორო.
- 4.2. სამუსიკო სემინარიას ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორი, მისი მოადგილე და სემინარიის პედაგოგიური საბჭო.  
კოლეჯის დირექტორი:
  - წარმართავს სამუსიკო სემინარიის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;
  - წარმოადგენს სამუსიკო სემინარიას ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე;
  - განსაზღვრავს პედაგოგთა დატვირთვას;
  - კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, წყვეტს მოსწავლეების სამუსიკო სემინარიაში ჩარიცხვისა და გარიცხვის საკითხებს;
  - პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს მისაღები კონტიგენტის პროექტს.

### **მუხლი 5. სამუსიკო სემინარიის მასწავლებელთა (პედაგოგიური) საბჭო**

- 5.1. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის სამუსიკო სემინარიის ყველა პედაგოგი.
- 5.2. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს სამუსიკო კოლეჯის დირექტორი.
- 5.3. პედაგოგიური საბჭო:
  - მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;
  - ადგენს პედაგოგიური საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;
  - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე შეიმუშავებს სამუსიკო სემინარიის სასწავლო გეგმებს;
  - ისმენს დირექტორის, მისი მოადგილის ანგარიშს (ინფორმაციას) გაწეულ მუშაობასთან დაკავშირებით;

- იხილავს სამუსიკო პროგრამების განხორციელების, სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

5.4. პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი. დამსწრეთა ვინაობა, მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და სხდომის მდივანი.

#### **მუხლი 8. სამუსიკო სემინარიის პედაგოგი, კონცერტმასტერი, სასწავლო-დამხმარე პერსონალი**

8.1. სამუსიკო სემინარიაში პედაგოგად და კონცერტმასტერად მუშაობის უფლება აქვს უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების მქონე პირს;

8.2. სამუსიკო სემინარიის სასწავლო-დამხმარე პერსონალს წარმოადგენენ კოლეჯის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში დაკავებული მუშაკები.

#### **მუხლი 9. პედაგოგთა უფლება - მოვალეობები**

9.1. სამუსიკო სემინარიის პედაგოგები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამის პედაგოგიურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ვალდებულნი არიან:

- შეასრულონ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- დაიცვან მოსწავლეთა უფლებები, არ დაუშვან მათზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფაქტები;
- იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე;
- მისცენ მოსწავლეებს ხარისხიანი მუსიკალური განათლება;

9.2. სემინარიის პედაგოგებს უფლება აქვთ:

ისარგებლონ სწავლებისა და აღზრდის იმ მეთოდებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

#### **მუხლი 10. სამუსიკო სემინარიის დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი**

10.1. სამუსიკო სემინარიის დებულებას შეიმუშავენ სამუსიკო კოლეჯის მასწავლებელთა (პედაგოგიური) საბჭო და ამტკიცებს დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

10.2. სამუსიკო სემინარიის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.